სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 13 ივნისის №8 სხდომის დადგენილების დანართი №10

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო ცენტრის

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

I. ზოგადი დებულებანი

1.1 საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო ცენტრი (შემდგომში: სასწავლო ცენტრი) წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულს.

1.2 სასწავლო ცენტრი საქმიანობას ახორციელებს ამ დებულებით გათვალისწინებული მიზნების შესაბამისად.

1.3 სასწავლო ცენტრის ადგილსამყოფელია: თბილისი, აღმაშენებლის გამზ. №40, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის II ადმინისტრაციული კორპუსი.

II. სასწავლო ცენტრის მიზნები. უფლებამოსილება

2.1 სასწავლო ცენტრის მიზანია:

- უნივერსიტეტში სწავლის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობა;
- ხელოვნებათმცოდნეობის პროფესიათა პოპულარიზაცია;
- განათლების/კვლევის ხელშეწყობა;
- მსფლიო კულტურულ ცხოვრებაში მიმდინარე პროცესებში ინტეგრაცია;
- აბიტურიენტთა მომზადება;
- სწავლებისა და გადამზადების პროცესში საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის ხელშეწყობა;
- სამეცნიერო და პრაქტიკული კვლევების ჩატარება უნივერსიტეტში არსებული სასწვლო პროცესის მოთხოვნებისა და მისი განვითარების გათვალისწინებით;
- ფართო საზოგადოებაში კულტურის ფასეულობების დანარგვა სხვადასხვა სასწავლო პროგრამის გზით.

2.2 აღნიშნული დებულების მიზნების მისაღწენად სასწავლო ცენტრი:

- ახორციელებს საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის საშემსრულებლო მიმართულებებით, აბიტურიენტთათვის საჭირო მოკლე და გძელვადიანი ძირითად და დამხმარე პროგრამებს;
- ამზადებს და ნერგავს არააკადემიური ექსტრაკურუკულუმების სასწავლო-თეორიულ-პრაქტიკული კომპლექსურ პროგრამებს;
- ატარებს მასტერ-კლასებს, ტრენინგებს, სემინარებს;
- ავრცელებს და ნერგავს სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ ინოვაციებს;
- ამზადებს და ნერგავს მოკლევადიან სასერტიფიკატო პროგრამებს;
- ქმნის და ნერგავს ხელოვნების საკვირაო და საზაფხულო სკოლის პროგრამებს;

III. სასწავლო ცენტრის სტრუქტურა

3.1 სასწავლო ცენტრი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს უნივერსიტეტის წესდებისა და მიისით გაცხადებული მიზნების შესასრულებლად.

3.2 სასწავლო ცენტრის სტრუქტურა მოიცავს:

- ხელმძღვანელი;
- პროგრამების მენეჯერი;

- კოორდინატორები.

IV. სასწავლო ცენტრის მართვა

4.1 სასწავლო ცენტრს ამ დებულებით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში მართავს და ახორციელებს სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელი, პროგრამ მენეჯერი და კოორდინატორები.

4.2 სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელს უნივერსიტეტის რექტორის წარდგინებით ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.

4.3 სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელი:

- მართავს და პასუხისმგებელია სასწავლო ცენტრის ადმინსტრაციულ და პროგრამულ საქმიანობაზე;
- ხელმძღვანელობს და წარმოადგენს სასწავლო ცენტრს უნივერსიტეტის სხვა სტრუქტურული ერთეულებისა და მესამე პირების წინაშე;
- კოორდინაციასა და კონტროლს უწევს პროგრამების მენეჯერის, კოორდინატორებისა და მოწვეული პედაგოების საქმიანობას;
- ამტკიცებს სასერტიფიკატო პროგრამის მსმენელებს ჯგუფებში;
- ყოველი სასწავლო წლის დაწყებამდე უნივერსიტეტის რექტორსა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წარუდგენს სასწავლო ცენტრის პროექტს;
- სასწავლო ცენტრის სახელით გასცემს ოფიციალურ დოკუმენტებს, სერტიფიკატს.

4.4 სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელი ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წინაშე.

4.5 სასწავლო ცენტრის პროგრამ მენეჯერს სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელის წარდგინებით ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.

4.6 სასწავლო ცენტრის პროგრამების მენეჯერი:

- ცენტრის ხელმძღვანელთან ერთად მართავს და პასუხისმგებელია სასწავლო ცენტრის პროგრამულ საქმიანობაზე;
- ცენტრის ხელმძღვანელთან შეთანხმებით, წარმოადგენს სასწავლო ცენტრს მესამე პირების წინაშე;
- ცენტრის ხელმძღვანელთან ერთად შეიმუშავებს ცენტრის სასწავლო პროგრამებს;
- განსაზღვრავს პროგრამის მოწვეულ პედაგოგებს;
- ცენტრის ხელმძღვანელთან ერთად უზრუნველყოფს მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას პროგრამების განხორციელებისათვის
- აკონტროლებს პრორგამის შესრულებას;

4.7 სასწავლო ცენტრის პროგრამების მენეჯერი ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელის წინაშე.

4.8 სასწავლო ცენტრის კოორდინატორს სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელის წარდგინებით ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.

4.9 სასწავლო ცენტრის კოორდინატორთა რაოდენობა განისაზღვრება სასწავლო ცენტრის მიერ განსახორციელებელი პროგრამების რაოდენობისა და დატვირთვის შესაბამისად.

სასწავლო ცენტრის კოორდინატორი უზრუნველყოფს ცენტრის ხელმძღვანელისა და პროგრამების მენეჯერის მიერ დაგეგმილი საქმიანობის შეუფერხებლად განხორციელებას მათ შორის:

- საზოგადოებასთან ურთიერთობას ცენტრში სწავლის მსურველთათვის მიღების წესებსა და პირობებთან დაკავშირებით.
- კოორდინაციას უწევს პროგრამის მიმდინარეობას;

4.10 სასწავლო ცენტრის კოორდინატორი ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელისა და პროგრამების მენეჯერის წინაშე.

V. სასწავლო ცენტრის პროგრამები

5.1 სასწავლო ცენტრში არსებული პროგრამების ვადები განსაზღვრება 1 თვიდან 1,5 წლამდე.

5.2 სასწავლო ჯგუფში შესაძლებელია იმყოფებოდეს 5-დან 15 მსმენელამდე.

5.3 პროგრამის განსახორციელებლად მოიწვევა პედაგოგები.

VI. სასწავლო ცენტრის საქმიანობის უზრუნველყოფა

6.1 სასწავლო ცენტრის ფინანსური და მატერიალური უზრუნვლყოფა ხდება უნვერსიტეტის მიერ.

6.2 სასწავლო ცენტრის ბიუჯეტი არის უნივერსიტეტის ბიუჯეტის შემადგენელი ნაწილი.

VII. სასწავლო ცენტრის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

სასწავლო ცენტრის რეორგანიზაცია ან გაუქმება ხორციელდება უნივერსიტეტის აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით.

VIII. დასკვნითი დებულებები

დებულება ძალაში შედის დამტკიცებისთანავე

სასწავლო ცენტრის სტრუქტურა



პროგრამის შემუშავებისა და დამტკიცების პროცედურა

სასწავლო ცენტრის საქმიანობის მთავარი კომპონენტია საწავლო პროგრამები. ცენტრის ადმინისტრაციის მიერ განსაზღვრული პრიორიტეტული მიმართულებების შესაბამისად პროგრამებს შეიმუშავავებენ მოწვეული პედაგოგები, ცენტრში დამტკიცებული ფორმის მიხედვით, რომელიც შემდგომ წარედგინება შესაბამის ფაკულტეტს, სასწავლო პროგრამების ხარისხის განსაზღვრის მიზნით. მიღებული დადებითი რეკომენდაციის შემთხვევაში პროგრამები გადაეცემა აკადემიურ და წარმომადგენლობით საბჭოს დასამტკიცებლად.